

ანოტაცია

ჩვენს მიერ დასახული ამოცანა აკუსტიკურ ტალღებთან დაკავშირებულ დღესდღეობით აქტუალურ საკითხებს შეეხება. ერთი მხრივ, დავინტერესდით ჩვენს საცხოვრებელ გარემოში არსებული ბგერითი მდგომარეობის შესწავლითა და ანალიზით; მეორე მხრივ კი, ამ გარემოს ადამიანზე ზეგავლენის თავისებურებების გამოკვლევით. ამიტომაც, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ამოცანა ორ ურთიერთდაკავშირებულ ნაწილად გაიყო. ესენია:

1. ჩვენს ქვეყანაში (კონკრეტულად ჩვენს ქალაქში) აკუსტიკური ხმაურის დონისა და სპექტრის განსაზღვრა და არსებული მდგომარეობის შესახებ სათანადო უწყებების ინფორმირება.
2. აკუსტიკური ხმაურის ადამიანის ფსიქიკურ სისტემაზე ზემოქმედების შემსწავლელი ლაბორატორიული ხელსაწყოების კონსტრუირება და გამოცდა.

პროექტის პირველი ნაწილის ფარგლებში ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია აკუსტიკური ხმაურისა და მისი შემსწავლელი დისციპლინების შესახებ, ჩამოვყალიბეთ კონცეფციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავზომოთ ქალაქის აკუსტიკური გაჭუჭყიანების დონე და მოვახდინოთ მისი შესწავლა. მოცემული ამოცანა გავაცანით გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებს, რის შედეგადაც დაიგეგმა გაზომვითი ღონისძიებების ჩატარება ქალაქის რამდენიმე ადგილას. ჩატარდა რამდენიმე პირველადი გაზომვა. ასევე, მოვიძიეთ ინფორმაცია კანონმდებლობაში არსებული ხმაურის რეგულაციების შესახებ. მოცემული ამოცანის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ აღნიშნული პროექტით უნივერსიტეტის სახელით მიგვემართა ქალაქის ზემდგომი ორგანოებისათვის. ამისთვის მომზადდა რექტორის წერილი და პროექტი. აღსანიშნავია, რომ ამოცანის განხორციელების პროცესი თანდათანობით მაშტაბურ სახეს იღებს.

ამოცანის მეორე ნაწილი ლაბორატორიული ხელსაწყოების კონსტრუირებასა და მის ექსპერიმენტებში გამოცდა გულისხმობს. შედეგად დამზადდა აკუსტიკური ტალღების გადამცემი და მიმღები სისტემები. აღნიშნული ხელსაწყოების მიზნობრივი გამოყენება დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე არსებულ ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში.

საბოლოოდ, ჩვენ დავგეგმეთ ე.წ. სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იქნება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, ინფორმირება აღნიშნული პრობლემებით და მოქალაქეებში აკუსტიკური კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.